# მებრძოლი გუშაგი
# Боевой страж

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

შაბათი, 18 აგვისტო, 1990 წელი ● № 34 (2911) ● СУББОТА, 11 АВГУСТА 1990 г.


## ოფიციალური ინფორმაცია

**გუშინ** თბილისში გაიხსნა საქართველოს უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესია.

⊙

**გამოქვეყნდა** საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულება სსრ კავშირის პრეზიდენტის 1990 წლის 25 ივლისის ბრძანებულების „სსრ კავშირის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი შეიარაღებული ფორმირებების შექმნის აკრძალვისა და იარაღის უკანონოდ შენახვის შემთხვევში მისი ამოღების შესახებ“ შესრულების ვადის ორი თვით გაგრძელების თაობაზე.

⊙

**„თეთრი** გიორგის კავშირმა“ განცხადებით მიმართა საზოგადოებას, რომელშიც ნათქვამია, რომ ამ კავშირის სახელით ბოლო სამი თვის განმავლობაში დედაქალაქსა და მის შემოგარენში მოქმედებენ პროვოკატორთა ჯგუფები, რომლებიც საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სახელით სხვადასხვა დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანელობას უწყობენ შანტაჟს ფულის გამოძალვის მიზნით.

„თეთრი გიორგის კავშირი“ სთხოვს საქართველოს საზოგადოებრიობას ზემოაღნიშნული ვითარების შემთხვევაში გამოეხმაურონ შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი, მაჩაბლის ქუჩა 11 (ყოფილი საქართველოს ალკკ ცკ-ის შენობა).

## ВСТРЕЧА В ТБИЛИСИ

**НА ДНЯХ в ходе поездки по Закавказью в столице нашей республики находились начальник Главного управления исправительных дел МВД СССР полковник в/с В. Гуляев, а также сопровождавшие его начальник оперативно-режимного управления ГУИД МВД СССР полковник в/с Ю. Калинин, начальник отдела воспитательной работы ГУИД МВД СССР полковник в/с В. Хребтов.**

**Состоялась встреча руководящих работников главка с начальниками УИД МВД Азербайджанской ССР и Армянской ССР полковниками в/с А. Пириевым и Р. Казаряном и руководством УИД МВД ГССР — начальником управления подполковником в/с Н. Моснашвили, его заместителем полковником в/с Д. Микадзе и начальником политотдела управления подполковником в/с С. Харабадзе. В. Гуляев изложил участникам встречи свою концепцию организации и руководства исправительно - трудовыми процессами в нынешних условиях перестройки и обновления всех сторон жизни нашего общества.**

**В ходе встречи были рассмотрены вопросы координации деятельности УИД МВД Закавказских республик и аппарата ГУИД МВД СССР по воспитательному, оперативно-режимному, производственно-хозяйственному и другим важнейшим аспектам работы управлений исправительных дел.**

# Акция не состоялась

**Напряженная обстановка создалась в конце прошлой недели в приграничных с РСФСР районах Абхазии. Причиной тому, как известно, послужил задуманный т. н. турками - месхетинцами поход в Грузию, вызвавший неоднозначную реакцию населения республики. О том, что происходило в те дни в районе реки Псоу рассказывают побывавшие там корреспонденты нашей газеты.**



**УТРОМ** 10 августа, именно в тот день, когда была назначена акция месхетинских турок, прибыли мы в Сухуми. Знакомое здание МВД было непривычно пустынным — большинство сотрудников находилось в этот момент в Леселидзе и его окрестностях, обеспечивая там общественный порядок. Несмотря на занятую руководством республики четкую и ясную позицию о недопустимости в нынешней сложной внутриполитической и демографической ситуации в республике появления на ее территории нескольких сот тысяч посторонних людей,и что будет сделано все возможное для предотвращения акции, взбудораженное различными слухами население выражало свою крайнюю озабоченность. 9 августа в Леселидзе прошел многочисленный митинг, участники которого потребовали помешать осуществлению акции, угрожая в противном случае блокированием железнодорожной магистрали и другими акциями протеста.

— С целью предотвращения возможных конфликтных ситуаций и поддержания должного общественного порядка, был создал республиканский оперативный штаб, который возглавили прибывший в автономную республику министр внутренних дел ГССР генерал - лейтенант внутренней службы Ш. Горгодзе и министр внутренних дел Абхазской АССР полковник милиции Г. Ломинадзе. В районе Леселидзе, к пограничному посту ГАИ на реке Псоу были стянуты подразделения сотрудников милиции из Абхазии, различных регионов Западной Грузии и военнослужащих внутренних войск МВД СССР, — рассказывает заместитель министра внутренних дел Абхазии А. Аршба. — С участниками митинга, населением была проведена большая разъяснительная работа, в ходе которой подчеркивалось, что ОВД, с учетом возможных социально - экономических, межнациональных и оперативных осложнений сделают все возможное для недопущения прохода т. н. турок-месхетинцев на территорию республики.

Двумя часами позже, побывав в этой горячей точке, мы смогли воочию убедиться, что обстановка на месте полностью контролируется. В районе поста ГАИ бросились в глаза резко контрастирующие с мирным летним пейзажем бронетранспортеры, различные дорожные заградительные сооружения. Вдоль автомагистрали и вокруг нее было видно множество сотрудников милиции и бойцов ВВ. Все проезжающие со стороны Сочи и в обратном направлении автомобили, автобусы, грузовики тщательно проверялись специальными нарядами милиции. Здесь же поодаль скопились то уменьшающиеся, то увеличивающиеся с течением времени толпы местных жителей, внимательно наблюдающих за происходящим и действиями стражей правопорядка.

Слухи здесь ходили самые разные, если их суммировать, получалось, что на стадионе в Адлере скопилось большое количество турок-месхетинцев (назывались цифры от 2-х до 20 тысяч), которые вот-вот должны двинуться в эту сторону.



Решив проверить все эти предположения на месте, мы добрались до Адлера. Стадион, на котором расположились прибывшие из разных регионов страны участники предполагаемого марша, был оцеплен бойцами ОМОН. После преодоления нескольких формальностей мы вошли на его территорию и сделали несколько снимков.

Удалось переговорить и с одним из лидеров месхетинских турок, членом ЦК общества «Ватан» П. Сафаровым. Он рассказал нам о тяжелейшем положении своего народа, о том, как зародилась идея данной по его словам «акции народной дипломатии», и была проведена подготовка



к ее осуществлению. В настоящее время ведутся переговоры, сказал П. Сафаров, как нам сказали, обстановка в Грузии сейчас очень сложная, поэтому мы решили приостановить поход и дожидаться здесь решения, которое дало бы надежду на то, что вопрос будет в конце концов рассмотрен.

После этого визита мы вернулись на приграничный пункт ГАИ, где по-прежнему четко несли службу милицейские наряды и особо бдительные представители местного населения. В эти вечер и ночь ничего тревожного не произошло, а утром следующего дня поступили сообщения, о том, что с учетом сложившейся ситуации участники марша решили воздержаться от своей акции, началась их эвакуация со стадиона в места проживания.

Не успели все мы, находящиеся в этом районе, перевести дух и подумать, что хорошо все то, что хорошо кончается, как из Сухуми поступило тревожное сообщение о захвате содержавшимися в следственном изоляторе преступниками заложников. Тотчас же часть сил милиции и ВВ перебрасывается в Сухуми, куда направились и мы. На месте выяснилось, что обстановка более серьезная, чем это представлялось вначале за неимением полной информации. Как оказалось, в руки преступников попало большое количество оружия. Здание министерства было полностью оцеплено, начались переговоры с преступниками об условиях их сдачи. Подробная информация об операции по освобождению заложников будет опубликована в следующем номере нашей газеты.

**А. ЛОМИДЗЕ,**
**Г. МГАЛОБЛИШВИЛИ.**

**НА СНИМКАХ: на месте событий; лагерь турок-месхетинцев на территории адлерского стадиона; в районе поста ГАИ у реки Псоу.**

# ЗДРАВСТВУЙ, ПЛЕМЯ МОЛОДОЕ...

**Вот и осталась позади горячая пора вступительных экзаменов в ВУЗы. Пора волнений, тревог, сбывшихся и несбывшихся надежд... Именно такой была она и для абитуриентов высшего учебного заведения органов внутренних дел республики, именуемого сейчас Тбилисской высшей школой милиции.**

ДЕЛО, конечно, не только в смене названия. Обретение школой реальной самостоятельности позволило усовершенствовать решение многих организационно- учебных вопросов, внести ряд существенных изменений и новшеств в программу вступительных экзаменов. Так, в нынешнем году все предметы — правоведение, письменный и впервые включенная в программу история Грузии — сдавались на грузинском языке, что сняло проблему языковых трудностей для основной части абитуриентов.

— В нынешном году, во многом благодаря изменениям в программе вступительных экзаменов, увеличилось число поступающих и конкурс как на очное, так и заочное отделения. В ходе предварительного отбора, как обычно, предпочтение отдавалось имеющим опыт армейской службы и тем, кто хорошо зарекомендовал себя, помогая органам внутренних дел в обеспечении общественного порядка в различных регионах республики, — рассказывает начальник Тбилисской высшей школы милиции генерал-майор милиции Г. Кванталиани. — Как и вступительные экзамены, все дальнейщее обучение будет вестись на грузинском языке, что позволит существенно повысить уровень учебно-воспитательного процесса и освоения слушателями учебных программ. Следует отметить большую роль в качественном проведении вступительных экзаменов, принципиальном и объективном отборе лучших из поступающих представителей ТГУ, Института общественных наук, Института иностранной литературы и других ВУЗов столицы республики, принимавших вместе с профессорско - преподавательским составом школы милиции участие в приеме экзаменов. Особенно ценным представляется участие в этой работе представителей юридического факультета ТГУ. Подобное сотрудничество двух учебных заведений, готовящих кадры для правоохранительных органов республики, очень плодотворно и должно быть продолжено в будущем.

Присутствуя на экзаменах, мы могли убедиться, что в школе созданы все условия для того, чтобы поступающие могли в полной мере продемонстрировать все свои знания. Характерный пример созданной здесь чуткой, максимально доброжелательной обстановки — в один из экзаменационных дней руководство, профессорско-преподавательский состав школы тепло поздравили с 30-летием одного из абитуриентов — инспектора связи Гальского РОВД сержанта милиции Мераба Чкадуа.

Познакомились в эти дни мы и со многими другими поступающими, интересовались у них, почему именно это высшее учебное заведение избрали они. Например, Роина Пейкришвили с детства привлекала красивая форма, мужественная и романтичная профессия сотрудника милиции. В прошлом году он уже сдавал экзамены, но его постигла неудача. Но парень проявил характер, поступил на службу милиционером отдела охраны при Ахметском РОВД и сейчас, предпринимая вторую попытку поступить в школу милиции, твердо намерен добиться своего.

Сияющая вышла из аудитории, где шли экзамены, Наташа Лабадзе. Еще бы не радоваться — ведь полученные ею две отличные оценки — почти гарантия общего успеха, осталось совсем чуть-чуть... В беседе с ней узнаем, что она окончила топографический техникум, затем 4 года работала здесь же в библиотеке школы милиции. Ознакомление с криминалистической и другой специальной литературой и определило ее решение посвятить себя этой увлекательной профессии. Именно женщина, считает она, может многого достичь, в частности, в воспитательной работе с подростками, молодежью, к чему Наташа, судя по всему, готовит себя уже сейчас.



Здесь же в коридорах здания школы знакомимся и с двумя однофамильцами. Гоча Нармания из Зугдиди считает одной из главных на сегодняшний день проблему преступности среди молодежи. Игорь Нармания из Очамчире, отслуживший в армии и успевший поработать в колхозе, принял решение поступить в школу милиции после гибели своего брата Зураба при задержании особо опасного преступника. Нармания, Нармания... И словно током пронзает и сейчас отдающееся болью в сердце воспоминание о трагедии, о которой доводилось писать в начале нынешнего года. Глядя на этого хрупкого на вид паренька, которого постигшая его семью беда не только не устрашила, но и привела к решению занять в строю место погибшего брата, невольно удивляешься твердости его характера.

В добрый час, счастливой службы, Игорь! Успехов тебе и твоим товарищам, избравшим для себя мужественную и благородную профессию стража правопорядка.

**А. ЦАТУРОВ.**

(Фото **Г. МГАЛОБЛИШВИЛИ**).

---

გამოვიყენოთ საკანონმდებლო ინიციატივის უფლება

# გვინდა ასეთი კანონი

**საბჭოთა** კავშირის კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობამ ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი გარდაქმნის ეპოქაში საბჭოთა მოქალაქეების უფლებებისა და მოვალეობების განუყრელ კავშირს. ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციებში კერძოდ ნათქვამია: „დემოკრატია ჩვენ გვესმის არა მარტო როგორც უფლებები და თავისუფლებები, არამედ, როგორც მათთან ორგანულად დაკავშირებული მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, კანონების მკაცრად დაცვა და თვითკონტროლი".

სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბება და სამართლებრივი რეფორმის განხორციელება, როგორც თვით ცხოვრება გვიჩვენებს, სამართლებრივი ინტეგრაციის პროცესით ხასიათდება. ხდება არსებული სამართლებრივი ნორმების სისტემაში მოყვანა, კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების შევსება და ახალი სამართლებრივი ნორმების შემუშავება-დამკვიდრება.

ამ თვალსაზრისით ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხარვეზს დღეისათვის, ჩვენის აზრით ის წარმოადგენს, რომ ჯერ კიდევ არა გვაქვს ერთიანი საერთო-საკავშირო სამართლებრივი აქტი — „მოქალაქეთა დისციპლინარული პასუხისმგებლობის კანონმდებლობის საფუძვლები". და მათს შესაბამისად შემუშავებული ასეთივე ერთიანი რესპუბლიკური საკანონმდებლო აქტები.

მოქალაქეთა დისციპლინარული პასუხისმგებლობის საკანონმდებლო-ნორმატული საფუძვლების შემუშავება და დამკვიდრება მეტად მნიშვნელოვანია. იგი დიდად შეუწყობს ხელს გარდაქმნის, დემოკრატიზაციისა და საჯაროობის იდეების ცხოვრებაში განხორციელებას.

ბოლო დრომდე ჩვენს ქვეყანაში მოქმედებენ და შრომის კანონთა კოდექსის გარდა მოქალაქეთა დისციპლინარულ პასუხისმგებლობას არეგულირებენ სხვადასხვა უწყებრივი ინსტრუქციები, დებულებები, წესდებები, წარმოება-დაწესებულებათა ტიპიური შრომითი შინაგანაწესები. ყველა და თითოეული მათგანის საერთო ნაკლი ის არის, რომ ისინი ატარებენ დაქსაქსულ, ერთიან საკანონმდებლო სისტემაში მოუყვანელ ხასიათს, ხშირად ეწინააღმდეგებიან კონსტიტუციას, გარდაქმნის სულისკვეთებას. საფიქრებელია ისიც, რომ ახლო მომავალში სოკოებივით მომრავლებული ათასგვარი კოოპერატივები, მოქალაქეთა გაერთიანებები, ასოციაციები და კავშირები, რომლებიც ახლა იქმნიან თავიანთი ფუნქციონირების ნორმატულ საფუძველს, კიდევ უფრო ჭრელსა და მრავალფეროვანს გახდის მთელ ამ საკანონმდებლო მასას. ასეთივე არასასურველი მდგომარეობაა მათი გამოყენების პრაქტიკის სფეროშიც. ადგილი აქვს ცალკეულ თანამდებობის პირთა ამბიციებს, დისციპლინარულ სასჯელის გამოყენების კანონიერი საწყისების უგულველყოფას, მათ დამახინჯებას, სამსახურებრივ უფლებამოსილებათა გადამეტებას და ხშირად მათ აშკარა ბოროტად გამოყენებასაც კი. ეს, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ უწყობს ხელს ერთიანი სახელმწიფო, საზოგადოებრივი, შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებას, რაც ესოდენ სჭირდება გარდაქმნის თანამედროვე ეტაპს.

სხვათა შორის, ანალოგიის გატარების მიზნით უნდა ითქვას, რომ ბოლო დრომდე ზუსტად ასეთივე მდგომარეობა იყო ადმინისტრაციული კანონმდებლობის დარგშიც. არსებული დღეს საკანონმდებლო დაქსაქსულობა ბოლოს იმით დამთავრდა, რომ როგორც იქნა შემუშავდა „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლები". მათ შესაბამისად ყველა რესპუბლიკაში, მათ შორის საქართველოშიც შემუშავდა, დამტკიცდა და სამოქმედოდ შემოღებულ იქნა „საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი". სპეციალისტებისათვის კარგად არის ცნობილი თუ რაოდენი სიცხადე და გარკვეულობა შეიტანა ამ კოდექსმა მართლწესრიგის განმტკიცებაში, რაოდენ აამაღლა კანონიერებისათვის ბრძოლის კულტურა, როგორ გააუმჯობესა ადმინისტრაციული პრაქტიკა, როგორ შეზღუდა ცალკეულ თანამდებობის პირთა და ორგანოთა თვითნებობა ადმინისტრაციული ჯარიმების გამოყენების საქმეში, როგორ გაუადვილა მან პროკურატურის ორგანოებს საპროკურორო ზედამხედველობა ადმინისტრაციული კანონმდებლობის დაცვაზე და სხვ. ცალკე, საგანგებო აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ დღეისათვის ეს კოდექსი ერთ-ერთი სამაგიდო წიგნია მილიციის უფროსებისათვის და დიდ დახმარებას უწევს მათ თავიანთი ადმინისტრაციული უფლებამოსილებების სწორად გამოყენების საქმეში.

ერთიანი დისციპლინური კანონმდებლობის საფუძვლების შემუშავებას აქვს კიდევ მეორე არანაკლებმნიშვნელოვანი მხარე. ეს არის მისი პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა. როგორც სამართალდარღვევათა დიალექტიკა გვიჩვენებს ყველაზე ხშირად საკმაოდ მძიმე განზრახი თუ გაუფრთხილებელი დანაშაულები სწორედ ერთი შეხედვით ჩუმი, შეუმჩნეველი, უმნიშვნელო და უწყინარი დისციპლინარული გადაცდომებით იწყება. ეს არის სამუშაოზე დაგვიანება, გაცდენა, წუნდებული პროდუქციის გამოშვება და უხარისხო ნაწარმის დამზადება, შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინის სხვაგვარი დარღვევები, უსაფუძვლო თვითიმედოვნება, სამსახურებრივი მოვალეობებისადმი უპასუხისმგებლო, ქარაფშუტული დამოკიდებულება. სამწუხაროდ, ყოველივე ამის სავალალო შედეგებიც კარგად არის ცნობილი. ესენია: ჩერნობილი, ტურისტული სამგზავრო გემის კატასტროფა, თხევადგაზიანი ეშელონის ავარია, მაღაროებში ესოდენ გახშირებული უბედური შემთხვევები, ავტოავარიები და სხვა ათასგვარი რამ, შესაბამისად ინიშნება სამთავრობო კომისიები, სწავლობენ მიზეზებს, ეძებენ და იკვლევენ საუწყებო ნორმატულ აქტებს და საკმაოდ ხშირად აწყდებიან გაუპიროვნებას, ელემენტარული ცხოვრებისეული წინდახედულობისა და სამართლებრივი ნორმების უგულველყოფას, უდისციპლინობასა და მოშვებულობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ გამოვიყენოთ კონსტიტუციით ჩვენთვის მონიჭებული საკანონმდებლო ინიციატივის უფლება. ჩვენმა დეპუტატებმა სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში უნდა დასვან საკითხი იმის შესახებ, რომ შემუშავდეს და საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდეს „დისციპლინარულ სამართალდარღვევათა შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების" პროექტი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ასეთი წინადადება გარდაქმნისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების ნამდვილ გულშემატკივართა მხრივ სათანადო მხარდაჭერის გარეშე არ დარჩება.

„საფუძვლებში" უნდა ჩამოყალიბდეს კანონმდებლობის ამ დარგის ფუნდამენტალური, პრინციპული დებულებები, ცნებები და კატეგორიები, როგორიცაა მაგ. დისციპლინარული სამართალდარღვევის ცნება, ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი, დისციპლინარული წახალისებისა და სასჯელის სახეები, ხანდაზმულობის ვადები, დისციპლინარული სასჯელის დადების პროცედურული წესები და ა. შ.

ასეთი საერთო-საკავშირო აქტი ერთიან სამართლებრივ ჩარჩოებში მოაქცევს დღეისათვის არსებულ დიდ და მრავალფეროვან საკანონმდებლო მასას, შესძენს მას თანამედროვე ეპოქის სულისკვეთებას. ხოლო მის შესაბამისად ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით შემუშავებული მოკავშირე რესპუბლიკების „დისციპლინარულ სამართალდარღვევათა კოდექსები" ნაყოფიერად ჩადგებიან საქართველოს სამსახურში, თავიანთ წვლილს შეიტანენ კანონიერების, მართლწესრიგის, ორგანიზებულობის, სამსახურებრივი თვითკონტროლის, შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების საქმეში.

**ზ. ალავიძე.**

**მილიციის პოდპოლკოვნიკი.**

# პატრონს დაუბრუნეს

...თამაზ დუნდუა აღელვებული შევიდა თბილისის დიდუბის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების ქვეგანყოფილებაში და უფროსი იკითხა მას სახეზე ეტყობოდა, რომ უბედურება შემთხვა. მორიგემ მომსვლელი უფროსის, მილიციის პოდპოლკოვნიკის ბორის ივანოვის კაბინეტში შეიყვანა და კარები გამოიხურა.

— გუშინ საღამოს როცა სახლში არ ვიყავი და ბინაში ჩემი ვაჟიშ-



ვილი იმყოფებოდა, მოტყუებით (მამამ გამოგვაგზავნა და რაღაც გამოგვატანაო) შევიდნენ ბოროტმოქმედები, ვაჟს რაღაც საგანი ჩაარტყეს, შებოჭეს და სახლიდან გაიტაცეს ორი ცალი ვიდეომაგნიტოფონი, ტელევიზორი, იაპონური წარმოების მაგნიტოფონი, ტანსაცმელი, ოქროს ნივთები, 8000 მანეთი, 7000 მანეთის „ჩეკები", ბიჭი უგონოდ დატოვეს და მიიმალნენ.

ქვეგანყოფილების უფროსის სამუშაო ოთახში სასწრაფოდ შედგა ოპერატიული ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ სისხლის სამართლის სამძებროს ოპერრწმუნებულები, მილიციის კაპიტანი ზ. ნიორაძე, უფროსი ლეიტენანტი დ. შარაშიძე, უფროსი ოპერრწმუნებული მილიციის მაიორი მ. ცნობილაძე, ოპერრწმუნებული, უფროსი ლეიტენანტი დ. ხუციშვილი, უფროსი ლეიტენანტი თ. თამაზიშვილი და რიგითი შ. ქივიძე.

„ცხელ კვალზე" გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შემდეგ დააკავეს ტყიბულელები, უმუშევარი რ. ქ. ადრე ნასამართლევი ზ. კ. და გამოუსწორებელი ქურდი დ. ქ.

მეორე დღეს თ. დუნდუას ეწვივნენ მილიციის თანამშრომლები და მისი ბინიდან მოპარული ყველა ნივთი და ფული პატრონს უკლებლივ დაუბრუნეს.

— დარწმუნებული ვიყავი, რომ ბოროტმოქმედებს დააკავებდით, მაგრამ ასე სწრაფად თუ მოხდებოდა - ეს არ მეგონა. დიდი მადლობა — თქვა მადლიერმა მასპინძელმა.

ზ. მგალობლიშვილი.

სურათზე: ბ. ივანოვი ესაუბრება ოპერატიული ჯგუფის წევრებს.
ავტორის ფოტო.

**ქ. თბილისში მოძრაობის უსაფრთხოების წესების დაცვა, ქუჩებში წესრიგის დამყარება განსაკუთრებით აქტუალური გახდა დღევანდელ დღეს. მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით, ქალაქ თბილისში უნდა შეიქმნას სახელმწიფო ავტოინსპექციის დანაყოფი, რომელიც დაკომპლექტებული იქნება ახალი კადრებით. ჩვენ ვეწვიეთ ქ. თბილისის სამმართველოს სახელმწიფო ავტოინსპექციის ცალკეული ბატალიონის უფროსის მოადგილეს პოლიტდარგში, მილიციის უფროს ლეიტენანტ რ. კენჭაძეს და ინტერვიუ ჩავწერეთ მას.**

# ახალი დანაყოფი

**● რამ განაპირობა ახალი დანაყოფის შექმნის აუცილებლობა?**

— საზოგადოებისათვის ცნობილია, თუ როგორ გაიზარდა ავტოსატრანსპორტო შემთხვევათა რაოდენობა დედაქალაქში. ამ არასასიამოვნო პროცესის შეჩერება, არც თუ ისე იოლი გახდა დღევანდელ დღეს.



ხშირად ისმის კითხვა, რა შეუძლია დაუპირისპიროს ავტოინსპექციამ ამ მოვლენას? ამასთან დაკავშირებით ბევრი მოსაზრება არსებობს. მე მინდა მოგაწოდოთ სტატისტიკური მონაცემები.

1985 წელს რეორგანიზაცია განიცადა ქ. თბილისის სახელმწიფო ავტოინსპექციის დანაყოფმა. ჩვენს სამსახურს გამოეთიშა 129 ოფიცერი. ამ წლების განმავლობაში ავტოსატრანსპორტო შემთხვევების რიცხვი დღითიდღე იზრდებოდა, ამასთან ერთად ქალაქს ემატებოდა ავტომობილები, როგორც მსუბუქი, ასევე სატვირთო. გაიხსნა საზოგადოებრივი ტრანსპორტის ახალი მარშრუტები. 1985 წლის მონაცემებით, დედაქალაქში ავტომანქანების რიცხვი 124000 აღემატებოდა, ხოლო თანამშრომლების რაოდენობა 516 შეადგენდა.

1990 წელს ავტომანქანათა რიცხვი 155000 შეადგენს. დღესდღეობით ჩვენ 376 თანამშრომელი გვყავს. ციფრებს, რომ გადავხედოთ თვალნათლივ დავინახავთ, თუ რამხელა განსხვავებაა 1985-1990 წლებს შორის.

ჩემი აზრით, როდესაც ავტომანქანების რაოდენობა იზრდება, როდესაც ქალაქს ემატება ახალი დასახლებები, ავტოინსპექციის თანამშრომელთა რაოდენობის შემცირება ყოვლად გაუმართლებელია.

ჩემი აზრით ეს ერთფერთი მიზეზთაგანია, რამაც გამოიწვია სახავტოინსპექციის დანაყოფის შექმნა. სამწუხაროა, რომ ამ საკითხზე მხოლოდ **ახალი კადრების შერჩევის დროს?**

**● რა პრინციპებით იმოქმედებთ ახლა კადრების შერჩევის დროს?**

— ჩვენ რიგებს შეემატება 100 ოფიცერი და 100 რიგითი თანამშრომელი. რაც შეეხება კადრების შერჩევას, ჩვენი აუცილებელი მოთხოვნაა: საშუალო ტექნიკური განათლება. თანამშრომელის სიმაღლე არანაკლებ 180 სანტიმეტრი უნდა იყოს. კადრების შერჩევას საქართველოს შს სამინისტროს სახავტოინსპექციის სამმართველო ითავებს. კონკურსი დაიწყება ბრძანების გამოქვეყნებისთანავე.

კარგი იქნებოდა, თუ ჩვენი საზოგადოების, ინტელიგენციის წარმომადგენლებიც, მიიღებენ მონაწილეობას კომისიის მუშაობაში.

ესაუბრა თ. კოგახიძე.

**Поводом для проведения редакцией этого совместного с представителями УПО МВД ГССР рейда послужила информация в программе «Моамбе», переданная на днях по грузинскому телевидению. В ней сообщалось, что при тушении пожаров в самом центре столицы республики, да и в других районах города, пожарные испытывают серьезные трудности в водоснабжении, в первую очередь из-за неисправных, залитых асфальтом гидрантов. Естественно, мы решили поинтересоваться, каково общее состояние этого важного противопожарного хозяйства в нашем городе.**

РЕЙД «БС»

# НЕИСПРАВНЫЕ ГИДРАНТЫ —ХАЛАТНОСТЬ ИЛИ...

**НЕЧАСТО** случается так, что рейдовая группа обнаруживает негативные факты буквально в двух шагах от здания редакции. Не успели мы выйти на улицу, как тут же, по ул. Гоголя, 23 обнаружили залитый асфальтом гидрант, точнее пометку в том месте, где он должен находиться. И указатель на стене есть (см. снимок справа), и место помечено, а самого гидранта нет, и гореть в случае чего нашей редакции синим пламенем. Слабым «утешением» послужили нам и слова участвовавших в рейде пожарных о том, что в Октябрьском районе, (начальник пожарной части майор в/с Л. Абснадзе) только на улице Гоголя не функционируют три гидранта.

Еще один неисправный гидрант мы обнаружили на углу улиц Ленинградской и Узнадзе, а имеющийся на базе «Сакцигни» пожарный водоем хоть и был заполнен водой, но подъезд к нему был настолько захламлен и загроможден посторонними предметами, в том числе и остовом старого грузовика (снимок слева), что в случае возникновения пожара воспользоваться им было практически невозможно. А ведь на базе в основном бумажная продукция, которая, как известно, и воспламеняется легко, и горит неплохо...

Не лучшая картина предстала перед нашей группой и в Первомайском районе (начальник пожарной части майор в/с Г. Адамашвили) на пр. Давида Агмашенебели, где идет реконструкция тротуаров. Строители, покрывая их базальтом, одновременно закопали и гидранты у кинотеатра «Комсомолец» и у Дома железнодорожников. Любопытно, объяснил ли им кто-нибудь во время работ предназначение гидрантов, которые отнюдь не являются ни излишней роскошью, ни пережитками прошлого.




Не оказалось воды в пожарном водоеме производственного объединения «Тбилтабак», расположенного по ул. Царицы Тамар. А когда мы проезжали мимо Дворца профсоюзов на пр. Важа Пшавела (начальник пожарной части Сабурталинского района майор в/с С. Параскевопуло), сопровождавшие нас специалисты сказали, что не стоит даже выходить из машины для проверки — здесь в водоеме уже два года нет воды.

Не обеспечено водоснабжением на случай пожара и высотное здание «Грузагростроя», где, кстати говоря, в прошлом году уже был пожар, но несмотря на это из имеющихся вокруг здания четырех гидрантов — три неисправны. На улице Казбеги около Института переливания крови нам встретился красиво оформленный указатель «ПГ», но и здесь гидрант оказался неисправным.

Подобные, на первый взгляд безобидные недостатки бывают в чрезвычайной обстановке весьма опасны, так как дают неверную информацию пожарным, что также может привести к тяжелым последствиям. Так, во время недавнего пожара в троллейбусном депо по ул. Кавтарадзе прибывшие для его тушения пожарные были уверены, что здесь есть водоем, емкостью 100 куб. м, как это указано на карте в ЦПСС УПО МВД ГССР. Однако, ни пожарные в тот раз, ни рейдовая группа водоема так и не обнаружили. Аналогичный пример можно привести и в связи с пожаром на трассе строительства новой магистрали метро, когда пожарные хотели воспользоваться гидрантами научно-исследовательского института «Радиан» (начальник пожарной части Вакийского района майор в/с Т. Имнашвили), однако вокруг них все было перекопано и подъехать к ним машины не смогли. В таком же состоянии были они и во время нашего рейда.



После увиденного мы уже не удивились, когда узнали, что из имеющихся в Тбилиси 3.620 гидрантов, 554 — неисправны. Есть целые районы, в том числе пос. ТЭВЗа, Элия, Метростроя, верхнее Поничала, где пожарных водоемов и гидрантов вообще нет. Не устанавливаются они и во многих новых микрорайонах, хотя по существующим нормам около каждого корпуса должен быть оборудован гидрант. Крайне неудовлетворительно обстоят дела и в некоторых старых районах, например, в Октябрьском, Исанском, и Ленинском, на которые приходится более половины всех неисправных городских гидрантов.

Мы связались с руководством одной из ответственных за это хозяйство организаций — Тбилводоканала. Его начальник Ю. Царцидзе сказал нам, что есть договоренность о том, что каждый месяц пожарной охраной будут представляться материалы о состоянии гидрантов, а их организация будет принимать соответствующие меры. Все это, конечно, хорошо, но по словам начальника ОПО УВД Тбилгорисполкома полковника в/с К. Хоргуашвили, хотя за последние пять лет положение несколько улучшилось, работы ведутся в очень медленном темпе, до сих пор не удалось добиться установки по всему городу, особенно, в его центре, указателей гидрантов, чтобы пожарные не теряли времени на их поиски.

Дело, конечно, не в том, чтобы свалить друг на друга имеющиеся недостатки. Наверное, всем заинтересованным организациям вместо того, чтобы ограничиваться служебной перепиской, следует предпринимать более целенаправленные и конкретные усилия для улучшения положения, а не ждать новых неприятных сюрпризов.

**Материал подготовлен рейдовой группой в составе заместителя РТП дежурной службы пожаротушения УПО МВД ГССР подполковника в/с Д. ВАЛИЕВА, старшего помощника РТП капитана в/с Р. ГАМГЕБЕЛИ, зам. редактора газета «Боевой страж» капитана милиции А. ЦАТУРОВА, корреспондента газеты старшего лейтенанта в/с А. МАЛАЯНЦА и фотокорреспондента Г. МГАЛОБЛИШВИЛИ.**

# „იცხოვრო საქართველოთი და საქართველოსთვის“

ამ სათაურით 1987 წლის 4 ივლისს, ახლად აღდგენილი გაზეთ „მებრძოლი გუშაგის“ პირველ ნომერში დაიბეჭდა ჩვენი კორესპონდენტის ზ. გომართელის წერილი, რომელიც ეხებოდა 1987 წლის 19 ივნისიდან 29 ივლისამდე შს ორგანოების თანამშრომლების და მათი ოჯახის წევრებისათვის გამართული ბატონ რეზო თაბუკაშვილის ფილმების რეტროსპექტული ჩვენების შემდეგ ამ მამულიშვილთან შეხვედრას.

დღეს, როდესაც სრულიად საქართველომ სვანური გლოვითა და ზარით დაიტირა და დიდუბის პანთეონის მადლიან მიწას მიაბარა თავისი ერთ-ერთი ღირსეული შვილი — მწერალი, კინორეჟისორი, საზოგადო მოღვაწე ბატონი რეზო თაბუკაშვილი, გვინდა მოვიყვანოთ პირველი და ბოლო აბზაცები ზემოთ დასახელებული წერილიდან, რამეთუ ვთვლით, რომ მათში იმთავითვე ჩაქსოვილი იყო ის აზრი, რომელიც ყველა დროს — მაშინაც, დღესაც და მომავალშიც მისი სულის მადლსა და უკვდავებას გამოხატავენ:

**„იცხოვრო საქართველოთი და საქართველოსთვის“ — ეს სათაური კინორეჟისორ რეზო თაბუკაშვილის იმ სიტყვებიდან მოვიხმეთ, რომელიც მან კულტურის სახლში შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებთან და მათი ოჯახის წევრებთან შეხვედრისას წარმოთქვა.**

**დამეთანხმებით, მისი ფილმების გმირებს, მათ ცხოვრებასა და მოღვაწეობას, თითოეულ გადადგმულ ნაბიჯს არც ერთი სხვა ფრაზა არ მიესადაგებოდა...**

**„იცხოვრო საქართველოთი და საქართველოსთვის“ — ეს ბატონ რეზოს მთელი ცხოვრების ყველაზე ზუსტი გამოხატულებაა...“**

ბატონმა რეზომ თავისი ნათელი ცხოვრების მანძილზე დედა საქართველოსთვის გაწეულ სხვა სამსახურთან ერთად საკუთარი, განსხვავებული, მისებურად გამორჩეული წვლილი შეიტანა საერთოდ ქართული მილიციის და კერძოდ თბილისის მილიციის უმაღლესი სკოლის მსმენელების პატრიოტული აღზრდის საქმეში.

გაზეთ „მებრძოლი გუშაგის“ რედაქცია თავის ხმას უერთებს ქართველი ხალხის გლოვას და გთავაზობთ მილიციის პოდპოლკოვნიკ ზაურ ალავიძის ლექსს, მიძღვნილს ბატონ რეზო თაბუკაშვილის ხსოვნისადმი:

## აი ასეთი!

**სიტყვა რომ ეთქმის, საქმე რომ ესმის,**
**წაქცეულ მეტოქეს თავს რომ არ ესხმის,**
**აი ასეთი, სწორედ ასეთი,**
**მხოლოდ ასეთი ქართველი მესმის!**

**საკუთარ ნიჭს რომ არ დაეხარბება,**
**შემთხვევით შემცდარს ლაფს რომ არ ესვრის,**
**აი ასეთი, სწორედ ასეთი,**
**მხოლოდ ასეთი ქართველი მესმის!**

**თეთრსა და შავს რომ იოლად არჩევს,**
**ავსა და კარგს რომ უსიტყვოდ ამჩნევს,**
**აი ასეთი, სწორედ ასეთი,**
**მხოლოდ ასეთი ქართველი მესმის!**

**ფარად და მახვილად ჩვენს გვერდით იდგა,**
**ცხრა მარტს და ცხრა აპრილს, უნდოდა**
**მშვიდობა,**
**მერე, ცხრა აგვისტოს, ჩუმი და მლიმარი,**
**სრულიად საქართველოს გამოემშვიდობა.**

**სსოვნად დაგვიტოვა ლვაწლი უხმაურო,**
**ერისკაცობა და მამულიშვილობა,**
**არ დაუზარია მამულს რომ დასჭირდა,**
**შორ გზას შედგომა და თაბუკაშვილობა,**

**თუ რამე მართებს, ასეთის მართებს,**
**ერთიან საქართველოს აწმყოს და მერმისს,**
**აი ასეთი, წორედ ასეთი,**
**მხოლოდ ასეთი ქართველი მესხმის!**



⊙

ჭეშმარიტად! — დავძენთ ჩვენ. დღეს გამიზნულად ვბეჭდავთ „მებრძოლი გუშაგის“ არქივში მოძიებულ სწორედ იმ ფოტოს (გადაღებულს კულტურის სახლში 1987 წლის ივლისში შეხვედრის დროს), რომელიც სამი წლის წინათ ზემოთ დასახელებულ მასალასთან ერთად გამოქვეყნდა და გადავცემთ საქართველოს სსრ შს სამინისტროს მუზეუმს.

⊙

ПО МАТЕРИАЛАМ ГЛАВНОГО
ИНФОРМАЦИОННОГО ЦЕНТРА МВД СССР

# ОБ ОПЫТЕ ОХРАНЫ ОБЩЕСТВЕННОГО ПОРЯДКА И БЕЗОПАСНОСТИ В ПЕРИОД МАССОВЫХ ЗАБАСТОВОК В КУЗБАССЕ

**ПРОВЕДЕНА** предварительная оценка опыта охраны общественного порядка в условиях массовых забастовок в Кузбассе с 10 до 20 июля прошлого года, в которых приняли участие коллективы 146 предприятий с общим числом более 180 тыс. человек.

Начавшиеся события проходили на фоне постоянного роста преступности в Кемеровской области, значительного снижения численности добровольных народных дружин, отсутствия основного резерва сил — строевого батальона милиции, который выполнял оперативные задачи в Ферганской области.

Тем не менее, в период забастовок в городах Кузбасса не было допущено групповых нарушений общественного порядка, во второй декаде июля по сравнению с первой в целом по области преступность сократилась на 22,5 процента, число тяжких преступлений против личности снизилось почти наполовину, меньше совершено имущественных преступлений.

Изучение показало, что стабильность обстановки в значительной степени была обеспечена правильными действиями органов внутренних дел.

С первых часов забастовки руководители Междуреченского горотдела внутренних дел вошли в контакт с забастовочным комитетом, в котором был создан штаб охраны общественного порядка с участием представителей милиции, а также рабочая дружина, численностью 200 человек. Для работы штаба выделили специальное помещение.

По мере распространения забастовки на другие города численность сил, включившихся в поддержание общественного порядка, достигла двух тысяч человек. За указанный период ими доставлено в медицинские вытрезвители 994 человека, выявлено и пресечено 22 случая спекуляции спиртными напитками, задержано 4.707 нарушителей дорожного движения, в том числе 360 человек — за управление транспортом в нетрезвом состоянии, изъято 5 единиц холодного и 4 огнестрельного оружия.

Одним из главных факторов, предотвративших нежелательное развитие событий, стала активная и предметная борьба с пьянством. По решению забастовочных комитетов, винно-водочные магазины, базы хранения спиртного были опечатаны, их работа приостановлена. С целью пресечения ввоза в город спиртного были выставлены пикеты дружинников.

Особое внимание было обращено на недопущение эксцессов в ходе массовых мероприятий. Рабочие дружины устанавливали пикеты у трибун и микрофонов, чтобы не допустить к ним экстремистов и хулиганов. С помощью бастующих была пресечена провокационная деятельность членов таких неформальных организаций, как «Демократический союз» (Новосибирского отделения) и «Гражданская инициатива».

На состоянии оперативной обстановки положительно сказались дополнительные оперативно-розыскные и профилактические мероприятия, проведенные милицией. Бастующими не было совершено ни одного преступления.

„ქოდა შენც არ შეგნიშნონ იმათ“...

მანქანამ ისევ წაიფხუკუნა. „მთლად დაიბნა ეს საწყალი“.

— გაუელვა რომანს. „გესმის? — უთხრა ჩუმად, — მანქანა გააჩერე“.

„ახლა?“

„ჰო, ახლა გადადი, თითქოს დასაკლავი ბატკნის ამორჩევა გინდა...“

ახალგაზრდები დაუქნევენ ხელს მანქანიდან გადმოსულ თავმჯდომარეს: რას გაჩერდი?

„ბატკანს ვეძებ, მწვადი ხომ გინდათ“

რომან გვენცაძე. ჩვენი მეგზური ისევ უბრუნდება საჭეს. „არა არ შემიძლია“ — მეუბნება. „მას იარაღი აქვს.“ „გემუდარები მიდი! — ვეუბნები, — თორემ თავსაც დალუპავ და მეც დამღუპავ.“ ზანტად აძიგძიგდა მანქანა. ...ვხვდები უკვე მივუახლოვდით ყორეს. ვწევარ, უკანასშეშფოთება დაეტყობათ მის თანამგზავრებსაც:

უგრეხელიძე ...მხამეზაში ახერხებს საჭესთან გადაჯდომას.

თანამშრომლები მანქანის კარის სახელურებს ექაჩებიან.

ამაოდ.

უგრეხელიძე რთავს ძრავს.

წინა მინაზე ხედავს გვენცაძის სახეს.

როგორც იქნა აგრუხუნდა ძრავა. მაგრამ ხდება გაუთვალისწინებელი რამ:

აქსელერატორზე ფეხის დაჭერა და ძრავის ჩაქრობა ერთია.

უგრეხელიძე ნაგანს ამოიღებს.

„დააგდე იარაღი!“.

მერე ჰაერს გაკვეთავს ტყვია — გაფრთხილების ნიშანი.

ასე იარაღმომარჯვებულნი რამ-

**გიორგი სანადირაძე**

# აკრძალული თამაშები

კნელ ძალას ვიკრებ. კარზე ფეხის ძირტყმა და წამოდგომა ერთი უნდა იყოს.

ავტორი. საშინელი ხმაურით იღება კარები და ვიდრე ყორეზე მჯდომი ბიჭები რაიმეს მოიფიქრებდნენ მათ წინ ავტომატმომარჯვებული უცნაური არსება დგას. გაბოძე წელზემოთ შიშველი იჯდა ქვაზე. მისი პერანგი იქვე ეგდო ხასხასა ბალახზე.

უნებურად წაიღო ხელი მისკენ. ცხადი იყო იქ მას იარაღი ჰქონდა.

„ხელი არ გააქანო! არ გაინძრე!“ — იჭექა რომანმა.

მან გაიგონა როგორ აიხადა საბარგულის სახურავი.

მან გაიგონა ავტომატზე მორგებული მჭიდეს ჩხაკუნი. არ მიუხედია: მის წინ გაბოძე იდგა — მრისხანე, დაუნდობი, ვერაგობით განთქმული ავაზაკი.

გაბოძემ მაინც მოასწრო იარაღის აღება.

მაგრამ ეს მოძრაობა საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის.

გაიგონა ავტომატზე მორგე-
...იმ მხრიდან გაისროლეს, საითაც მანქანა ეგულებოდა.

მე დიდხანს ვფიქრობდი ამ წიგნის დასასრულზე. ისევ და ისევ ვუბრუნდებოდი ჩემს ჩანაწერებს, სამძებროს თანამშრომლებთან გატარებულ დღეებს.

...ოპერატიული ჯგუფი იღებს სასწრაფო დავალებას: თბილისში გამოჩნდა საკავშირო ძებნილი ვინმე უგრეხელიძე. არაერთ მძიმე დანაშაულში იმხილებოდა იგი. დაუნდობი იყო და ვერაგი. მასთან შეტაკებას ადამიანთა მსხვერპლი მოსდევდა მუდამ. დამნაშავეთა სამყარომ საყვარელ გმირად აქცია იგი.

იყო ზაფხულის დილა. უფრო ზუსტად დილის თერთმეტი საათი. „გმირი“ თბილისის ერთ-ერთ მაღაზიასთან უნდა გამოჩენილიყო.

ოპერატიულ ჯგუფს რომან გვენცაძე ხელმძღვანელობდა.

მაშ ასე.

საათის ისრები თერთმეტს გადაცილდა.

ნუთუ ამჯერადაც გაცუდდა სამძებროს ვარაუდი?

უგრეხელიძე მანქანაში რჩება ორ სხვა თანამგზავრთან ერთად.

ისინი მანქანის უკანა სავარძელში სხედან.

არა, უგრეხელიძის „ამალიდან“ არავის იცნობენ ოპერატიული ჯგუფის წევრები. მანქანის ოთხივე კარს ოთხი ჩრდილი ადგება. ოპერაციის დაწყების პირობითი ნიშანი: გაიჩხაკუნა სანთებელამ.

რომანი წინიდან უახლოვდება მანქანას.

უგრეხელიძეს რაღაც უაზრებს: აქ რაღაც ხდება.

დენიმე წამს უყურებენ ერთმანეთს. მერე უგრეხელიძეს თითქოს რაღაც უხილავი ძალა წამოაგდებს და მეორე კარისაკენ გააქანებს. ისმის გასროლის ხმა. ერთი, ორი... ხუთი! ეს უგრეხელიძის ნაგანია. ვარაუდი: მოულოდნელი თავდასხმა დააბნევს ოპერატიულ მუშაკებს... და მაშინ...

არ გაუმართლდა იმედი.

ოპერატიულმა მუშაკებმა საპასუხო სროლა ატეხეს.

აკივლდა, აზრიალდა, ამოძრავდა ქუჩა...

შეიქმნა პანიკა.

— არ ისროლოთ! არ ისროლოთ! — ყვიროდა რომანი.

ბრმა ტყვიას შეეძლო სრულიად უდანაშაულო ადამიანი ემსხვერპლა.

რომანმა კარი შეამტვრია.

უგრეხელიძემ ერთი გასროლა კიდევ შეძლო, უმისამართოდ გაისროლა ჰაერში...

მერე მძიმედ დაჭრილი იგი საავადმყოფოში რომანს ეტყვის: ამ საბოლოო გასროლით ჩემს თავისუფლებას გამოვეთხოვეო.

სახეზე მწარე ღიმილი მოეფინება. არ მოეწონება ეს ღიმილი რომანს.

— ვიცოდი ბოლოს მაინც შენი კერძი გავხდებოდი...

— რომანი გაოცებით შეხედავს:

— რას იზამ, — ეტყვის მცირეოდენი ფიქრის შემდეგ, — პროფესია მაქვს ასეთი:

დამნაშავე გარბის. მე ვიჭერ...

უგრეხელიძე თავს გადააქნევს.

— ახლაც გაგექცეოდი. მაგრამ დაგინდე...

— დამინდე?

— კი ასეა.

— სასჯელის დამძიმება არ გინდოდა!

— ვერ ამოიცანით, ბატონო რომან — კმაყოფილებით წარმოთქვამს უგრეხელიძე. — ერთით მეტი, ერთით ნაკლები... აბა, ეგ რა შემსუბუქებაა! თქვენ სულ სხვა რამემ გიხსნათ!

რომანს ახსენდება მისი სახე, — თითქოს სანთლისაგან ჩამოქნილი. შიშით გაჯერებული თვალები. მოშვერილი ნაგანი!

— გახსოვთ პიატიგორსკი?

რომანი მაშინვე აღიქვამს ამ სიტყვას.

პიატიგორსკი...

რა კავშირი აქვს უგრეხელიძეს პიატიგორსკთან?

ჩვენ გავრბოდით. ახალმოხნულ მინდორში სირბილი ჭირდა. ბედად ქვის ყორეს წავაწყდით. ყორეს უკან ლელიანი იყო. მე ტყვიები გამითავდა. ჩემი ძმადნაფიცი — პაატა (გახსოვთ ალბათ!) ისევ განაგრძობდა სროლას. „წადი თავს უშველეო“, — მითხრა. ჩემი გულისათვის გადასდო თავი... მერე მე ვნახე, როგორ აიკიდეთ დაჭრილი ისიც მითხრეს, როგორ შველოდით... საკუთარი სისხლიც მიეცით... შვილივით მოუარეთ. აი, ამან გადაგარჩინათ. როგორც კი მანქანასთან დაგინახეთ, მაშინვე გიცანით... მე მივხვდი, — ველარ გესროდით...

დასასრული. დასაწყისი იხ. „მებრძოლი გუშაგი“ №№ 19-33.

## გასწორება

„მებრძოლი გუშაგის წინა ნომერში გაიპარა შემდეგი შეცდომები:

მასალაში — „ფოტოფაქტი“ მესამე სტრიქონი უნდა იკითხებოდეს: „საქართველოს ალკკ თბილისის საქალაქო კომიტეტის“...

დოკუმენტურ მოთხრობაში „აკრძალული თამაშები“ არეულია სტრიქონები. მასალა უნდა მთავრდებოდეს მეორე სვეტის პირველი ორი სტრიქონით.

რედაქცია ბოდიშს უხდის მკითხველებს.

ინდექსი 66839

НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064, УЛ. ГОГОЛЯ, 23, ТЕЛЕФОНЫ:
ჩვენი მისამართია: თბილისი, 380064; გოგოლის ქ. № 23. ტელეფონები: 95-66-72; 99-1-41-24.

რედაქტორი ა. კობალაძე

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, იბეჭდება, ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარა ულის 29.